<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

„2016-2017 წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემატიური თანამშრომლობის ფაქტების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ“

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს პარლამენტის 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეიქმნას „2016-2017 წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემატიური თანამშრომლობის ფაქტების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია”.
2. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის გამოსაკვლევ საკითხთა წრედ განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისა და მაღალი თანამდებობის პირების რუსეთის ფედერაციის სპეცსამსახურებთან ფარული და სისტემატიური თანამშრომლობის შესახებ 2022 წლის 10 სექტემბერს „TV პირველის“ ეთერში დასახელებული ფაქტები, ასევე გამოკვლევის პროცესში გამოვლენილი, აღნიშნულ პირთა სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს.
3. საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს 3 თვე.
4. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი